

აგრესიული ქცევა მოზარდებში

ლარისა ეგნატშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია წერეთელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია ქართული პოპულაციის მოზარდებში აგრესიულ ქცევის, გენდერული განსხვავებების დადგენა. კვლევა განხორციელდა გამოკითხვის მეთოდის საფუძველზე პაჩებუტის აგრესიულობისა და დემოგრაფიული მონაცემების საკვლევ კითხვარების გამოყენებით. გამოკითხულ იქნა 130 მოზარდი, 64 ვაჟი და 66 გოგო. მიღებული შედეგების მიხედვით მოზარდთა უმრავლესობასთან გამოვლინდა აგრესიული ქცევის საშუალო დონე (83,3%), ხოლო აგრესიული ქცევის დაბალი დონე შედარებით მცირე ნაწილთან (8,3%). მოზარდებში აგრესიული ქცევის ყველა ტიპი სხვადასხვა სიხშირით გამოვლინდა, კერძოდ ყველაზე მაღალი სიხშირით გამოვლინდა საგნობრივი აგრესია, ყველაზე დაბალი სიხშირით კი ემოციური აგრესია; კვლევამ დაადასტურა ჩვენი ვარაუდი, რომ მოზარდები ქალაქსა და რეგიონში განსხვავდებიან აგრესიული ქცევით. კერძოდ, თბილისში მცხოვრები მოზარდები ავლენენ მაღალი დონის აგრესიას (18,3%), რეგიონში მცხოვრებ მოზარდთან შედარებით (7,7%). კვლევამ ასევე დაადასტურა კავშირი დემოგრაფიულ მონაცემებსა და მოზარდთა აგრესიულ ქცევას შორის, კერძოდ, დადგინდა დადებითი კორელაცია ვერბალურ აგრესიასა და უფროსი დედ-მამიშვილის ფაქტორს შორის.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ყველა იმ ადამიანს, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია მოზარდთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობა, სოციალური აღიარება, მატერიალური და კომუნიკაციური წარმატებები, რადგან ჩვენი კვლევა ადასტურებს არსებული კვლევების შედეგებს, რომ აგრესიული ქცევა ხშირად სხვადასხვა ფორმითა და ინტენსიობით ვლინდება და დამოკიდებულია დემოგრაფიულ ფაქტორებზე.

ძირითადი თემატური სიტყვები: აგრესია, გენდერი, დემოგრაფიული მონაცემები.

(სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას უნივერსიტეტის აკადემიური სტილის შესაბამისად, გვერდი : 76, 77, 78)